ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.04.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 007/14

შეკითხვა:

მოქმედებს თუ არა რეგულაცია ამჟამად, რომელიც ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით იყო გათვალისწინებული: „თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების შესახებ“?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია):

„თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების შესახებ.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი (2012 წლის 08 დეკემბრის რედაქცია):

„ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.“

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი:

1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

1[1]. ადვოკატი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმას აგზავნის იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშგების ფორმის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი 2012 წლის 08 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით ითვალისწინებდა რეგულაციას, რომლის მიხედვით, პირობითად ადვოკატი A ვალდებული იყო შეეტყობინებინა ადვოკატ B - სთვის, თუ მას ადვოკატ B - ს კლიენტი მიმართავდა მას კონსულტაციის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების მიზნით. აღნიშნული დებულება, გარკვეულწილად, ეწინააღმდეგებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, რანგით მაღლა საფეხურზე მდგომი ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ პროფესიული საიდუმლოების ვალდებულებას.

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №094/11, დაადგინა: „კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ამ ვალდებულების შესრულება ეკისრება გასული დროის მიუხედავად, როგორც ამჟამინდელი კლიენტის, ისე ყოფილი კლიენტის ან პოტენციური კლიენტის მიმართ. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ

კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ...“

2012 წლის 08 დეკემბერს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილში შევიდა ცვლილება, რომელმაც შეცვალა აღნიშნული რეგულაცია და ეს ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.“

დასკვნა:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (2006 წლის 15 აპრილის რედაქცია) მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის რეგულირება: „თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების შესახებ“, შეიცვალა 2012 წლის 08 დეკემბერს და მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება.“

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.